საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ქალბატონო/ბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ს დაგეგმილი აქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (გამარმარილოებული მოსაპირკეთებელი კირქვა) მოპოვება. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება მოხდება ღია კარიერული წესით. ობიექტიდან მოპოვებული წიაღისეული გამოყენებული იქნება სამშენებლო საქმიანობაში (სხვა სამშენებლო მასალა).

“გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 2.1. ქვეპუნქტის მიხედვით: „2.1. ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია“ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 03 თებერვლის N22/721 წერილით გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, 890625 მ³ „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 09 მარტის „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ N2-210 ბრძანებით დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-მ სკოპინგის განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 28 ივლისის ბრძანებით მიიღო სკოპინგის დასკვნა №37.

სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე - 10 და მე - 11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ

№ 20665
"17" 11 2021

კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

დანართები:

1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში -2 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი);

2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტი 2 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი);

3. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია (1 CD)

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე „ღორეშა“-ს გამარმარილოებული კირქვის გამოვლინების დამუშავების შემდეგ 178125 მ^2-ის ნაწილზე (133342 მ^2) მიწის ფართობის აღდგენა-რეკულტივაციის პროექტი - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი);

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარედ „ღორეშა“-ს გამარმარილოებული კირქვის გამოვლინების დამუშავების პროექტი (ლიცენზია N10001411) - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია (CD დისკი 1 ცალი).
6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

7. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

8. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) - CD დისკი 1 ცალი.

პატივისცემით,

შპს „ლაიმსთოუნ ჯორჯია“-ს დირექტორი

გიორგი გაბაიძე

17.11.2021